ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3641723

ნომერი: AR1544459

თარიღი : 26.09.2017

გაცემის თარიღი : 27.10.2017

გაცნობის თარიღი : 27.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კონსტანტინე სტანისლავსკის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოსო ანიაშვილი პ/ნ 59001027718
- თბილისი,მარსელის ქ 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ხელმეორედ განხილვაზე შემოსული 2017 წლის 26 სექტემბრის AR1544459 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2014 წლის 10 სექტემბრის #1461080 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას, კერძოდ: საპროექტო ობიექტის დასახელების გრაფაში სასაწყობე შენობა-ნაგებობაზე, ორი მრავალსართულიანი საოფისე შენობა–ნაგებობის დამატებას.

სამსახურის 2014 წლის 10 სექტემბრის №1461080 გადაწყვეტილებით სასაწყობე შენობა- ნაგებობის განთავსების მიზნით (01.13.05.003.084), დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 2014 წლის 28 ოქტომბრის №1534971 ბრძანებით, შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2016 წლის 16 მარტის №2485377 ბრძანებით, ცვლილება შევიდა №1461080 გადაწყვეტილებაში და საკადასტრო კოდად დაფიქსირდა (01.13.05.003.118). 2016 წლის 21 მარტის №2489282 ბრძანებით, დაკორექტირდა №1534971 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ყოველივე ამის შემდგომ 2016 წლის 19 ოქტომბრის №2890057 გადაწყვეტილებით, სამსახურმა დაადასტურა დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომში ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, რის საფუძველზეც 2016 წლის 7 დეკემბერს, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბ-379615/05 ბრძანებით, შენობა-ნაგებობა (არქიტექტურის სამსახურის №2489282 ბრძანება) ექსპლუატაციაში იქნა მიღებული.

ამის შემდგომ, 2016 წლის 15 ივნისის #2648509 ბრძანებით, 2014 წლის 10 სექტემბრის (№1461080 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე) ისევ შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა 2017 წლის #3263085 გადაწყვეტილებით სამსახურმა ისევ დაადასტურა დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომში ექსპლუატაციაში მიღების მიზნით და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის ბ-19/011716 ბრძანებით, აღნიშნული შენობა-ნაგებობაც ექსპლუატაციაშია მიღებული.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობა მიღებულია ექსპლუატაციაში, გამომდინარე აქედან სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას და ვერ განახორციელებს ცვლილებას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.